პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 28 აპრილი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 92 (790) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## „ევკოგრუზის" რწმუნებულთა მე-4 ყრილობა.

დღეს 28 აპრილს იხსნება ქართული წითელი ჯარის მთლიან მომხმარებელთა საზოგადოების „ევკოგრუზის" რწმუნებულთა მორიგი მე-4 ყრილობა.

ერთი წელი გავიდა მესამე ყრილობიდან. უნდა ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში „ევკოგრუზის" მუშაობაში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან მიღწევებს. მაგრამ ცხადია მიღწევებთან ერთად იყო დეფექტებიც, რომლებიც უმთავრესად გამოწვეული იყვნენ სხვა და სხვა ობიექტიურ სახ ს მიზეზებისაგან.

რწმუნებულთა მორიგი ყრილობა გაუკეთებს ჯამს გამგეობის წარსულ მუშაობას; აღნიშნავს ყველა მის დეფექტებს და მიღწევებს და ამასთანავე ერთად გამოიმუშავებს იმ ხაზს, რომელიც უნდა გაატაროს მომავალში ახალმა გამგეობამ.

უნდა ითქვას რომ, როგორც საერთოდ ისე ჩვენ სამხედრო კოოპერაციასაც საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ ცხოვრებაში უდიდესი როლი აქვს მინიჭებული. განსაკუთრებით კოოპერაციის მნიშვნელობა დიდია სოფელსა და ქალაქ შორის კავშირის გამტკიცების საქმეში. კერძოთ სამხედრო კოოპერაცია, გარდა იმისა რომ ის ემსახურება სამხედრო მომხმარებელთა ეკონომიურ ინტერესებს, ამავე დროს ის დიდათ ხელს უწყობს კოოპერაციის განვითარების საქმეს სოფლად.

ახალგაზრდა წითელ-არმიელები აქ წითელ ჯარში პირველად ხდებიან კოოპერატივის წევრები და უშუალო თვალყურის დევნით სამხედრო კოოპერატივების მუშაობაზე, პრაქტიკულად ეცნობიან კოოპერაციის პრინციპებსა და კოოპერაციულ საქმიანობას. ამასთანავე ერთად დაინტერესებულ წითელ არმიელებს სამხედრო კოოპერაცია გზავნის სპეციალურ კოოპერატიულ კურსებზე. ასეთი კურსები დაამთავრეს შარშან 11 წითელ არმიელმა, ხოლო წრეულ კი 14.

ამრიგად სამხედრო კოოპერაცია ყოველ წლიურად სოფლის კოოპერაციას აძლევს რამოდენიმე სპეციალისტ—კოოპერატორებს და მით დიდ სამსახურს უწევს მას.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ დღემდი არ იქმნა და არ მოხერხდა სათანადო სიმაღლეზე დაყენებია წითელ ჯარში კოოპერატიული პროპაგანდის საქმე.

მიმდინარე ყრილობამ ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს და სათანადო პრაქტიკული ამოცანები დაუყენოს მომავალ გამგეობას.

საერთოდ „ევკოგრუზის" რწმუნებულთა ყრილობის წინაშე სდგას მთელი რიგი მნიშვნელოვან და დიდ საჭირბოროტო საკითხების, რომლებიც მოითხოვენ დაუყონებლივ გადაჭრას და დროზედ ცხოვრებაში გატარებას.

ვუსურვებთ ყრილობას ნაყოფიერ და წარმატებით მუშაობას ჩვენი წითელი სამხედრო კოოპერაციის საკეთილდღეოთ და ასაყვავებლად.

## აზერბაიჯანის გასაბჭოების ხუთი წლის თავი.

დღეს შესრულდა ხუთი წელი დღიდან ჩვენი მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკის გასაბჭოებისა.

1920 წლის 28 აპრილს ბაქოს თავზე კვლავ აფრიალდა შრომის წითელი დროშა.

აზერბაიჯანის მშრომელთა მასების ჭეშმარიტ ავანგარდმა-ბაქოს პროლეტარიატმა, თავის უამრავი მსხვერპლის, ზღვა სისხლისა და ცრემლების ფასით მოიპოვა თავისუფლება ამ ისტორიულ დღეს და გახდა თავისი ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი.

ჩამოგდებულ იქნა მუსავატელთა ხელისუფლება, ხელისუფლება ბეგებისა და აღების.

გამარჯვებული საბჭოთა ძალაუფლება მტკიცედ და ენერგიულად შეუდგა დანგრეული ქვეყნის აღდგენას. მუსავატელთა მთავრობამ მძიმე მემკვიდრეობა დასტოვა.

ამ ვაჟბატონების წყალობით დაეცა ბაქოს მრეწველობა, აზერბაიჯანის სოფელი, დანგრეული ერთაშორის შუღლითა და ბრძოლებით დაღუპვის კარზე იმყოფებოდა.

საჭირო იყო დიდი ღონისძიებანი და ზეადამიანური ენერგია, საჭირო იყო მშრომელთა მასების ფოლადისებური ნებისყოფა, რომ გამოსულიყო ქვეყანა ამ დანგრეულ მდგომარეობიდან.

სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის მშრომელებმა ამ ხუთი წლის განმავლობაში თავის ქვეყნის აღორძინების საქმეში მიაღწიეს იშვიათ ბრწყინვალე შედეგებს.

როგორც მრეწველობა, ისე სასოფლო მეურნეობა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ და უახლოვდება ომის დრომდე არსებულ დონეს.

ფართე სამელიორაციო მუშაობამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის გაძლიერებას, ხოლო ნავთის წარმოებამ კი 100 პროცენტით გაუსწორდა ომამდე არსებულს.

დიდი მიღწევებია აგრეთვე კულტურულ საგანმანათლებლო დარგშიაც. ახალი ალფავიტის შემოღებით ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ სახალხო განათლების საქმე.

კიდევ რამოდენიმე წელი და მშრომელთა აზერბაიჯანი, კულტურულ მუშაობის და სახალხო განათლების დარგში მიაღწევს მეტად და მეტად დიდ შედეგებს.

გავიდა ხუთი წელი დღიდან საბჭოთა ხელისუფლების არსებობისა აზერბაიჯანში, —ხუთი წელი ამ ლამაზი ქვეყნის გიგანტიური ზრდისა და მოძრაობისა წინ, სოციალიზმის გზაზე.

საქართველოს წითელი არმია მხურვალედ ესალმება წითელი აზერბაიჯანის მუშებსა და გლეხებს გასაბჭოების ხუთი წლის თავზე და უსურვებს მას მომავალში უფრო მეტ გამარჯვებებსა და წარმატებებს შრომისა და სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე.

გაუმარჯოს წითელ აზერბაიჯანს!

გაუმარჯოს მის ბელადსა და ხელმძღვანელს — აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიას.

ლ.

# ახალი რადიო-ამბები

## გერმანიის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ჰინდენბურგი.

**გერმანიის პრეზიდენტის ხელმეორედ არჩევნებზე, რომელიც მოხდა 26 აპრილს, ჰინდენბურგმა მიიღო 14 მილიონი 639.927 ხმა.**

**მარქსმა მიიღო 13.740.489 ხმა.**

**ტელმანმა—1.800.000 ხმა.**

**ამ რიგად პრეზიდენტად არჩეულ იქნა ჰინდენბურგი.**

**არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 73 პროც.**

## არჩევნები გერმანიაში.

### გაცხოველებული პროპაგანდა.

პარტიების საარჩევნო ბრძოლა უმაღლეს განვითარებამდისავიდა. ბერლინში არ დარჩენილა არც ერთი სახლი, რომელზედაც არ ყოფილიყოს ამა თუ იმ მიმართულების „ფლაგი". „ფლაგების" ქარხნები უკანასკნელ დღეებში დღე და ღამე მუშაობდენ.

მეტად გაცხოველებული საპროპაგანდო მუშაობა სწარმოებდა ავტომობილების საშუალებით.

შაბათ საღამოს და ღამით საარჩევნო კამპანია უმწვერვალესად გაძლიერდა.

ასეთი მასიური კრებები არ ახსოვს არც ერთ საარჩევნო კამპანიას გერმანიაში.

ქუჩის ბრბო და განსაკუთრებით ქალები ბურჟუაზიული კლასიდან, მხურვალედ ესალმებოდენ მონარქისტებს. ნაციონალისტების ყოფა-ქცევა გამომწვევი იყო.

ბურჟუაზიულ უბნებში პოლიცია ხელს უწყობდა ბურჟუაზიულ საზოგადოების მასიურ გამოსვლებს, იმ დროს, როცა მუშათა უბნები ცარიელი და სიბნელით იყო მოცული: როგორც კი შეიკრიბებოდა ათეული მუშა ქუჩაში, მაშინვე ჩაერეოდა პოლიცია და მირეკავდა მათ, რათა ხელი არ შეეშალათ მოძრაობისათვის.

საარჩევნო კამპანიის დროს ჯერ-ჯერობით მიღებულ ცნობით, მრავალ დაჭრილთა გარდა, მოკლულია რესპუბლიკანურ კავშირის ერთი წევრი (ის მოკლულ იქნა ფაშისტის მიერ). მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, 26 აპრილს მთელი ქუჩები გამოცოცხლებული და სავსე იყო ხალხით.



გერმანიის ახლად არჩეული პრეზიდენტი ჰინდენბურგი.

საარჩევნო პროპაგანდაში მონაწილეობდენ ჰაეროპლანები, აუარება ავტომობილები და სხვა. რესპუბლიკანელებსა და მონარქისტებს შორის ხდებოდა შეტაკებები.

პოლიციამ დიდძალი ხალხი დააპატიმრა.

პროპაგანდა მარქსის სასარგებლოდ, რომელზედაც დიდძალი ფული დაიხარჯა, გადავიდა მუშათა უბნებშიაც.

26 აპრილს 12 საათისთვის აშკარად სჩანს რომ იმარჯვებს ჰინდენბურგი.

კომუნისტების წარმატება შესამჩნევი იყო საქსონიაში, სადაც ტელმანის სასარგებლოდ მიცემული ხმები 204.000-დან 284.000-მდე ავიდა.

ჰინდენბურგმა შეჰკრიბა დიდძალი ხმები პომერანიაში, ტიურინგიაში, შლეზვიგში, ვესტფალიაში, დრეზდენში და ვიურტემბურგში. ბერლინი, უეჭველია, უმეტესობას მარქსს მისცემდა.

## მთავრობის კრიზისი ბელგიაში.

ბრიუსელიდან მიღებულ ცნობით, კათოლიკურ პარტიის ლიდერმა ვანდევიერემ უარი განაცხადა მეფის წინადადებაზე კაბინეტის შედგენის შესახებ.

## ამხ. ლანცუცკი ვარშავის ციხეში.

ლანცუცკი გადმოყვანილ იქნა პერემიშლის ციხიდან ვარშავის ციხეში.

## მე-14-ე პარტკონფერენციის გახსნა.

გუშინ, 14 აპრილს მოსკოვში გაიხსნა მე-14-ე პარტიული კონფერენცია.

## გლეხთა მღელვარება რუმინეთში.

ამას წინად რუმინეთის დაბა ფრუნცე-ნესტში მოხდა გლეხთა აჯანყება, რომელიც ჩახშობილ იქნა სამხედრო ძალების მიერ.

მეორე აჯანყება, რომელიც გამოიწვია მიწის განმანაწილებელმა კომისიამ, მოხდა დაბა კოსნიტში, სადაც დაპატიმრებული იქნა 25 გლეხი.

სემიგრადიის რაიონში გლეხთა უკმაყოფილება იქამდის მივიდა, რომ მათ განიზრახეს მიწის განმანაწილებელ კომისიის წევრთა დახოცვა.

## „ჩვეულებრივი ვარჯიშობა".

როგორც დეპეშებიდან ვიცით აპერიკა ემზადება დიდი მანევრებისთვის წყნარ ოკეანეზე. ამან ერთგვარი შიში დაჰბადა ზოგიერთ სახელმწიფოში, განსაკუთრებით იაპონიაში.

# პირველი მაისის დღესასწაულისათვის.

## კომინტერნის აღმასკომის მოწოდება მთელი ქვეყნების მუშებისადმი.

კომინტერნის აღმასკომი მთელი ქვეყნების მუშებისადმი მოწოდებაში ამბობს, რომ 1-ლ მაისის დღეს გასინჯულ უნდა იქნას მსოფლიო პროლეტარიატის რევოლიუციონური ძალები.

კაპიტალიზმი უმაგალითო ბოროტი გულგრილობით კვლავ ბიძგავს მთელ ქვეყანას ახალ სისხლის მღვრელ ბრძოლისაკენ.

მთელი ქვეყნების კლასობრივ—შეგნებულმა მუშებმა უფრო უნდა შეამჭიდროვონ თავიანთი რიგები კომინტერნის გარშემო, რათა მზად იყვნენ ახალი ბრძოლებისათვის.

ამ ნიშნის ქვეშ უნდა ჩატარდეს პირველი მაისის დღესასწაული.

გამართეთ დემონსტრაციები 8 საათის სამუშაო დღისთვის, რათა დაიბრუნონ ის იქ, სადაც არ არსებობს.

გამართეთ დემონსტრაციები პროფკავშირთა მთლიანობის სასარგებლოდ.

მოუწოდეთ გლეხთა მასებს პროლეტარიატთან კავშირისკენ მთელი კაცობრიობის მშრომელთა მასების განთავისუფლებისათვის კაპიტალის ბრჭყალებისაგან.

---

ამერიკის საზღვაო მინისტრმა ბალფურმა იაპონიის დამშვიდების მიზნით და ამერიკის პაციფისტების (ომის მოწინააღმდეგეთა) მიერ წარმოდგენილ ბრალდების საპასუხოდ განაცხადა, რომ ამერიკის ფლოტის მანევრები ჩვეულებრივი ვარჯიშობაა და მას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ აქვსო.

---

## გლეხთა კომიტეტების ყრილობა.

გლეხკომების ყრილობაზე გლეხკომების ცეკას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვ და მრავალი ქალები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ გლეხი ქალები დიდად დაინტერესებული არიან საზოგადოებრივი მუშაობით, მაგრამ ძველი ყოფა-ცხოვრების პირობები ჯერ კიდევ ძლიერია და ხელს უშლიან გლეხ ქალებს ფართე მონაწილეობა მიიღონ მუშაობაში.

კამათში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა 150 კაცს აღემატებოდა.

## გრიგალი.

22 აპრილს სადგურ ვერეშჩაგინოს რაიონში (პერმის რკ. გზა) გადაიარა ძლიერმა გრიგალმა. ქარიშხალმა მოჰგლიჯა სადგურის ბაქანი, რომელიც დაეჯახა მომავალ საბარგო მატარებელს და დააზიანა სამი ვაგონი.

---

## ბაქოს ბაზრობის გახსნა.

აზერბაიჯანში დიდის ზეიმით გაიხსნა ბაქოს ბაზრობა.

ბანკეტზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ მთავრობის, აზერბაიჯანისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები და აგრეთვე ბანკეტზე დამსწრე სპარსეთის და ოსმალეთის კონსულები.

---

## ამხ. სტარკოვის უეცარი გარდაცვალება.

28 აპრილს უეცრად გარდაიცვალა გერმანიაში მყოფ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე ამხ. სტარკოვი.

---

## ბელგიის სამთო-მადნო მუშების საერთო გაფიცვების წინ.

ბელგიელ მრეწველების უარის გამო, რათა დაეკამაყოფილებიათ სამთო-მადნო მუშების მოთხოვნილებები სამუშაო ხელფასის შესახებ, ბელგიელ სამთო-მადნო მუშების ყრილობამ დაადგინა მოაწყოს 27—28 აპრილისთვის რეფერენდუმი საერთო გაფიცვების გამოცხადების საკითხის გადასაწყვეტათ.

# მონარქიის წინამორბედის გამარჯვება.

გერმანიის საპრეზიდენტო არჩევნები ჰინდენბურგის გამარჯვებით დამთავრდა. პოლიტიკურ ცხოვრების ზედაპირზე კვლავ ამოტივტივდა იმპერიალისტური ომის ერთ-ერთი ბოროტი გენიას ფიგურა. ჰინდენბურგის პრეზიდენტობა ნიშნავს ახალ პოლიტიკურ გართულებებს ევროპაში. ვინ არის ჰინდენბურგი? ის არის კაიზერული გერმანიის განსახიერება.

მისი სახელი განუყრელია ომთან, მონარქიასთან და თავაშვებული სამხედრო დიქტატურასთან.

ამიერიდან პოლიტიკური ტერორი და მუშათა მასების გაყვლეფა მივა უმაღლეს წერტილამდე.

ჰინდენბურგის საპრეზიდენტო სავარძელზე დაჯდომა დაბოლოოს ნიშნავს ბურჟუაზიული რესპუბლიკის აღსასრულს. გერმანიის მსხვილი ბურჟუაზია წელგამაგრებული ამერიკის ოქროთი და უკანასკნელი წლის სტაბილიზაციით კვლავ იღებს თავს ზევით და თავის მტრებისათვის სამაგიეროს გადახდაზე ოცნებობს. მისთვის უკვე აღარ არის საჭირო რესპუბლიკა და სოციალ — დემოკრატია. მას რესპუბლიკა და სოციალ-დემოკრატია ესაჭიროებოდა მაშინ, როდესაც პროლეტარული რევოლიუციის აბობოქრებული ტალღები წალეკვით ემუქრებოდენ მის ძირმომპალ სახელმწიფოს. დღეს ის უკვე კვლავ ღონიერად გრძნობს თავს. დღეს მას სჭირია ისეთი ხალხი, რომლებიც გაჩენილები არიან ხოცვა-ჟლეტის და სისხლის ღვრის საწარმოებლად. ასეთებია ჰინდენბურგები.

როგორც ყოველთვის ისე ეხლაც საზიზღარ სოციალ—დემოკრატიამ კვლავ დაიხია უკან, კვლავ გაყიდა მუშათა კლასის ინტერესები.

მან არამც თუ არ წამოაყენა თავისი კანდიდატი, არამედ თავისი ხმები საშუალო ბურჟუაზიის კანდიდატს მარქსს მისცა, რომელიც მიუხედავათ ამისა მაინც დამარცხდა. საზოგადოთ ჰინდენბურგის გამარჯვებაში მთავარი დანაშაულობა სოციალ - გამყიდველთ მიუძღვით. თავისი გამცემლური პოლიტიკით მათ იქნამდე მიიყვანეს საქმე, რომ გერმანიაში დადგა რეაქციის შავი ღამე. მაგრამ ხანმოკლე იქნება ეს ღამე. ამ შვიდი წლის განმავლობაში ბევრი გადაიტანა და გამოსცადა გერმანიის პროლეტარიატმა.

თუ სოციალ-დემოკრატიამ უღალატა მას და გაჰყიდა ის, სამაგიეროთ მას დარჩა ღირსეული მეთაური და წინამძღოლი გერმანიის კომპარტიის სახით.

დღე დღეს გერმანიის ფაშიზმმა იზეიმოს თავის გამარჯვება. ეს არის მისი უკანასკნელი ზეიმი, მაგრამ მეტად ხანმოკლე. გერმანიის შეღრუბლულ ცას მალე გადასწმენდს ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუციის ქარიშხალი და გამარჯვების წითელი დროშა სამუდამოთ შესცვლის რეაქციის შავ ალამს.

—ე.

---

## ნათესების მდგომარეობა საბჭოთა კავშირში.

ზამთრის ნათესის მდგომარეობა მთელ საბჭოთა კავშირში დამაკმაყოფილებელია.

რაც შეეხება საგაზაფხულო ნათესებს, თუ რომ მაისსა და ივნისში კარგი ამინდები დაიჭირა, უზრუნველყოფილი იქნება საშუალო მოსავალი.

# სამხედრო საქმე

## საკავშირო ნაწილების საზაფხულო სწავლება.

საბანაკო პერიოდში საკავშირო ნაწილების წინაშე სდგას შემდეგი ამოცანა: დაამთავრონ საკავშირო მეომარის მომზადება, რომელსაც შეეძლებოდეს მოქმედება მწყობრისა და გუნდის შემადგენლობაში, როგორც რიგის სპეციალისტსა და მეომარს.

ამასთან, უსათუოდ საჭიროა ასრულებულ იქნას რამოდენიმედ ურთიერთ-შეცვლის პრინციპი, რომელიც სახელდობრ უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ ხაზის მეთვალყურეს შეეძლოს შესცვალოს მორზეს ნიშნებზე მომუშავე მეომარი, რადიო ტელეგრაფისტს ელექტრო-ტეხნიკი და სხვა. ამიტომ ხაზის მეთვალყურემ უნდა შეისწავლოს მორზეს ნიშნებზე მუშაობა, რადიო-ტელეგრაფისტმა რადიო-სადგურის ამუშავება და სრული წარმოდგენა ჰქონდეს მის ცალკე ნაწილების საერთო დანიშნულებაზე.

ამ რიგად საბანაკო პერიოდში საკავშირო ნაწილებმა უნდა სრულჰყონ და კარგად შეისწავლონ პრაქტიკულად ის ცოდნა, რომელიც მათ მიუღიათ ზამთრის პერიოდში.

მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მომენტი კავშირის მეომართა სწავლების საქმეში, ეს არის შეერთებული მუშაობა სხვა გვარი იარაღის ჯარებთან ერთად. ამიტომ ჯარის სარდლობამ გადასცა ადგილებს დარიგებანი, რომლებიც გამოიხატებიან შემდეგში: ამ წელში საკავშირო ნაწილები საერთო ჯარების ბანაკში არ უნდა იქნან გაყვანილი. დივიზიის ცალკე საკავშირო გუნდები დატოვებულ იქნან თავიანთ ნაწილებთან, რისთვისაც უნდ დაეთმოს მათ ადგილი ბანაკ მარჯვენა ან მარცხენა ფრთაზ

ყველა ამ განკარგულებათ მიზანია შეიქმნას მომავალ ზაფხულზე საკავშირო ნაწილებისათვის ისეთი პირობები, რო შესაძლებელი გახდეს საკითხების თეორიულად და პრაქტიკულად დამუშავება სხვა გვარ ჯარების გაცნობის საქმეში.

გარდა ამისა მომავალ საბანაკო პერიოდში, რომ სწავლებას არ მოცდენ მეომრები, არმიის სარდლობის მიერ აკრძალულია საკავშირო მეომრებ ჩაბმა ბანაკის ტეხნიკურ და სამეურნეო მუშაობაში, იმ შემთხვევების გამოკლებით, როც ეს საჭირო იქნება საკავშირო მეომარის მუშაობის პრაქტიკულად გასინჯვის მიზნით, როგორც მაგალითად: პერიოდული მორიგეობა ბანაკის ცენტრალურ ტელეფონის სადგურზე.

დიდ სარგებლობას მოიტან ასეთი მუშაობა და განსაკუთრებით ღამის მორიგეობა.

გარდა პრაქტიკისა, საკავში რო მეომარი აქ იძენს განსაკუთრებულ დისციპლინას.

აი ის ამოცანები, რომლებიც სდგას საკავშირო ნაწილების წინაშე და რომლებიც უნდა აასრულონ მათ სავსები ზაფხულის განმავლობაში.

რაც შეეხება საკავშირო მეომრების მომზადებას მსროლელთა გუნდებისთვის, და ტელეფონისტების — მსროლელთ ათასეულებისთვის, ამის შესახებ ვილაპარაკებთ ცალკე წერილში.

# წითელ არმიაში ქალთა შორის მუშაობის შესახებ.

„კანონმდებლობის დარგში ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც კი მოგვეთხოვებოდა ქალის მდგომარეობის მამაკაცის მდგომარეობასთან გათანასწორებისათვის“ სთქვა ლენინმა 1920 წელში.

მას შემდეგ ბევრი მიღწევებია ამ დარგში. ქალთა რიცხვი საბჭოებში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში წლიდან წლამდე მატულობს. ქალთა სადელეგატო კრებები, რომელნიც წარმოადგენენ პრაქტიკულ მუშაობის სკოლას, არა მარტო სისტემატიურად იკრიბებიან ქალაქებში, არამედ იწყებენ მუშაობას სოფლებშიაც.

აგრეთვე მატულობს ქალთა რიცხვი კომუნისტურ პარტიის რიგებში. ქალთა საერთაშორისო დღეს, 8 მარტს არა ერთი და ორი ათასი მუშა ქალი მიემატა პარტიის რიგებს.

სულ სხვა სურათი გვეშლება ჩვენ წინ, როდესაც დაუკვირდებით ქალის მდგომარეობას მის წითელ არმიაში ყოფნის დროს.

წითელ-არმიის ნაწილებში, კერძოთ ჩვენ ქართულ დივიზიებში სრულიად არაფერი არ კეთდება ამ დარგში.

სინამდვილე და ცოცხალი მაგალითები სულ სხვას გვიამბობენ. მაგალითისათვის შეგვიძლია ავიღოთ გაზეთ „კრასნაია ზვეზდა“-ში მოთავსებული წერილი ერთ-ერთ დივიზიის სამმართველოს კომუჯრედის ქალთა შორის მუშაობის შესახებ. „პირველ ხანებში მრავალი დაბრკოლებანი შეგვხდა მუშაობაში-ო, რისთვისაც მთელი რიგი ზომებისა ვიხმარეთ, რათა ჩაგვეთრია ქალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მალე 60—70 პროც. ქალებისა ჩავითრიეთ მუშაობაში.

უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული ქალთა ყოფა-ცხოვრების საკითხებზე ურთიერთ დაახლოება კარჩაკეტილებიდან გამოსვლის მიზნით, აქტივობის გაძლიერების და პასიობის დაძლევის შესახებ.

ამ ჟამად მუშაობა კარგათ მიმდინარეობს.

საერთო კრებები იმართება სისტემატიურად თვეში ორჯერ.

კრებებზე ირჩევა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები, ბავშვის აღზრდის და დაცვის შესახებ, თვითმოქმედ ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, სადელეგატო კრებებზე დელეგატების მოხსენებები და სხვა.

თითქმის ყველა მოხსენებებს ქალები აკეთებენ. თვით ქალები კვირაში ორჯერ მეცადინეობენ პოლიტწრეში, არჩეული ყავთ წარმომადგენლები თვითმოქმედ ორგანიზაციებში, (რემედასსი,—საჰაერო ფლოტი და სხვა), არიან აგრეთვე ყველანი ჩაწერილი ამ ორგანიზაციებში წევრებად. აღებული აქვთ შეფობა საბავშო სახლზე, რომლის პიონერთათვის შეუკერავთ 40 პიონერის ტანსაცმელი. საბავშო სახლის—ბავშვებისთვის გაუმართავთ ახალ წელს საღამო საჩუქრებით.

ამას გარდა თავიანთ „ბავშვებისათვის გაუხსნიათ საბავშვო ბაღი და სხვა“.

ნუ თუ არ შეიძლება ამ ცოცხალ მაგალითის გამოყენება ჩვენ სინამდვილეში? შეიძლება.

საჭიროა მხოლოდ ინიციატივა და სათანადო ხელმძღვანელობა ამ მუშაობაში. ჩვენ უკვე ერთი შეცდომა დაუშვით, როდესაც ჩვენ ნაწილებში საბჭოების არჩევნები ჩავატარეთ ქალების მონაწილეობის გარეშე. შემდეგში ეს უნდა გამოსწორდეს.

ჩვენ წითელ-არმიის რიგებში მყოფ უფპოლიტშემადგენლობის ცოლებმა და დებმა ისეთივე მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოების არჩევნებში, როგორც სოფლებში ღებულობენ მონაწილეობას წითელ-არმიელების ცოლები და დები. ქალაქებში, ქალების საქალაქო სადელეგატო კრებებზე, სრულიად არ ვხედავთ დელეგატ ქალებს სამხედრო პირების ოჯახობიდან, რაც აგრეთვე უნდა გამოსწორდეს.

პირველად შეიძლება მოეწყოს ქალთა საერთო კრება თუნდაც გარნიზონის მასშტაბში (ტფილისი, ქუთაისი, ბათომი და სხვა.)

შემდეგში შეიძლება იქნეს გამომუშავებული მუშაობის გეგმა შეთანხმებით ადგილობრივ პარტიულ კომიტეტის ქალთა შორის მუშაობის განყოფილებასთან. ჩვენი დივიზიის პარტიულ ორგანიზაცია არ უნდა შეაშინოს დაბრკოლებებმა, რაც მოსალოდნელია ამ მუშაობის დაწყების პირველ ხანებში. პირველი ნაბიჯი ეკუთვნის ჩვენ კომუჯრედებს.

ი. რუდოვსკი.

# პარტიული ცხოვრება.

## როგორი მეთოდით უნდა მზადდებოდეს მოხსენებები საერთო კრებისათვის.

წ. არმიის სტრუქტურის მოქნილობა ისეთი პოლიტიკურ ორგანიზაციების სახეს იძლევა, რომ კარგათ დაყენებული პარტიული ორგანიზაციული მუშაობა დიდ სარგებლობას იძლევა წ-არმიელის კულტურულათ და პოლიტიკურათ განვითარების საქმეში. აქ ყოველთვის შესაძლებელია სხვა და სხვა სახის უჯრედების არსებობა, საერთო კრებების და ბაასების მოწყობა და სხვა. აქ მუშაობის რიგზე დაყენებით და მისი სათანადო ხელმძღვანელობით შესაძლებელი ხდება მრავალი აქტიური მომუშავეების კადრის შექმნა. რაც დიდ სარგებლობას მოგვიტანს სოფლათ მუშაობის გამოსაცოცხლებლათ. აქ ყურადღება გვინდა მივაქციოთ ერ გარემოებას, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს მუშაობაში. ეს არის საერთო კრებებისთვის მოხსენებების მომზადება და გაკეთება. როგორც სჩანს, ზოგიერთი ორგანიზაცია სადათ უყურებს ამ კითხვას და ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს მის კარგათ თუ ავათ ჩატარებას. ჩვენ ეს ასე არ უნდა გვესმოდეს, რადგან თუ საერთო კრებისათვის სათანადოთ მომზადებული და გაბედული მომხსენებელი არ გამოვნახეთ, იმ შემთხვევაში კრებას ელფერი ეკარგება, მსმენელები იღლებიან უთავბოლო მოხსენებით და თვით სუსტი მომხსენებელიც იბნევა, ღელავს და შემდეგისათვისაც გული უტყდება.

ხშირად შევხვედრივარ საერ-კრებებზე აღელვებულ და ლოყებ გაწითლებულ მომხსენებელს, რომელიც თავის გაუბედაობით საერთო კრებებზე დაბნეულა. ასეთი მიზანშეუწონელ მუშაობით ჩვენ შედეგს ვერ მივაღწევთ. საჭიროა სხვანაირათ მიუდგეთ საკითხს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ პარტიის წევრი და უპარტიოც გამოვსწვრთნათ ისე, რომ მათ შეძლოთ საერთო კრებებზე თავისუფლათ გამოსვლა და ლაპარაკი. მაგრამ აქ საწინააღმდეგო შედეგებს ვღებულობთ.

ორგანიზაცია ავალებს პარტიული დისციპლინის ქვეშ ამა თუ იმ ამხანაგს მოამზადოს მოხსენება და გააკეთოს საერთო კრებაზე, სადაც 500 და მეტი უპარტიო ესწრება. ორგანიზაცია კი ანგარიშს არ უწევს იმას აქვს თუ არა აღნიშნულ ამხანაგს ლაპარაკის უნარი. და თუ ამხანაგი ვერ ასრულებს ამ დავალებას, რადგან ის სალაპარაკოდ გამოსული აღელვების გამო თავს ანებებს ლაპარაკს, ამას უწოდებენ დისციპლინის დარღვევას და დაუდევრობას. ასეთ დაუკვირვებელ მოქმედებას შეუძლია ზიანი მოუტანოს ორგანიზაციას და მეტი არაფერი. აღნიშნულ მაგალითს ადგილი ქონია ჩვენს სამხედრო ორგანიზაციებში, რაც გამსინჯავ კომისიამ გამოაშკარავა.

კომისიამ ამის შესახებ მისცა სათანადო დარიგებანი, რაც ავალებს ყველა უჯრედებს, რათა თვით უჯრედებში სწარმოებდეს ამხანაგების მიერ მოხსენებების გაკეთება სისტემატიურად, რითაც შესაძლებელი იქნება შემდეგში საერთო კრებებზე მოხსენებების გაკეთება. აქაც არ შეიძლება მთლიანად მთელი უჯრედის შემადგენლობიდან განურჩევლათ ყველას დაევალოს მოხსენებების გაკეთება, არამედ იმათშიც უნდა იქნეს ამორჩეული ისეთი, რომელიც უფრო მეტი მომზადებულია, და მასთან მეტად ეხერხება ლაპარაკი. თორემ თუ არ გავარჩევთ და წინასწარ არ მოვამზადებთ საერთო კრებებისათვის მომხსენებლებს, მაშინ ისინ უფერულნი და უშინაარსო იქნებიან. ამიტომ ამ კითხვას უნდა მიექცეს საჭირო ყურადღება, რისთვისაც ორგანიზაციებმა უნდა შეარჩიონ ამხანაგები უჯრედებში მოხსენების გაკეთებას, რის შემდეგ შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება საერთო კრებებზედაც.

ხ. ლომიძე.

### ჩვენი პარტ საქმიანობა.

15 აპრილს შესდგა 6-სე ლეგიონის პირველი კომუჯრედის მორიგი ღია კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება კომუჯრედის მდივნისა თავისი მუშაობის შესახებ; 2. კომუჯრედის ახალი პრეზიდიუმის არჩევა, 3. მიმდინარე კითხვები. პრეზიდიუმის სახელით მოხსენება გააკეთა უჯრედის მდივანმა, რომელმაც აღნიშნა უჯრედის შინა პარტიული მუშაობა, პარტიის დამხმარე კომკავშირის ჯგუფის მუშაობა, უჯრედის საქმიანობა უპარტიო წითელ არმიელებში, ლენკუთხეებში მუშაობა და დასასრულს უჯრედის ტეხნიკურ მხარეები. უჯრედის საქმიანობისა და მუშაობის შესასებლათ, მოხსენების გარშემო გაიმართა სჯა-ბაასი და აზრთა გაცვლა გამოცვლა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ წითელ-არმიელთა აქტიური მონაწილეობა სხვა და სხვა შეკითხვებისა და მითითების სახით.

კრება გაეცნო რა უჯრედის სამ თვიურს მუშაობას იცნო ის დამაკმაყოფილებლად და უსურვებს მის ხელმძღვანელ ახალს პრეზიდიუმს მეტ ინტენსიურს საქმიანობას.

შემდეგ არჩეულ იქნა უჯრედის პრეზიდიუმი სამი წევრისა და ერთი კანდიდატის შემადგენლობით.

გ. ლორთქიფანიძე.




## ჩაეწერეთ საჰაერო ფლოტის მეგობართა წრეში.

ამ ხანებში პირველი ლეგიონის საკავშირო გუნდში დაარსდა საჰაერო ფლოტის მეგობართა წრე. გუნდის წითელ არმიელები დიდის ხალისითა და შეგნებით ჩაეწერენ წრეში და ჩააბარეს საწევრო გადასახადი ლეგიონის რწმუნებულს.

ხსენებული გუნდის წითელ-არმიელები მოუწოდებენ გუნდის დანარჩენ წითელ-არმიელებს და სხვა ასეულებს ჩაეწერონ საჰაერო ფლოტის მეგობართა წრეში.

სამხკორი ს. მეფარიშვილი.

## დაპირება ასე უნდა?

ვერ გამიგია საქმე რაშია! ამას წინეთ ჩვენ მოვათავსეთ წერილი გაზეთ „წითელ არმიელში“ ქალაქის საკომენდანტოს საყურადღებოთ საერთოთ ოთახების შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ გაზეთის ფურცლებზე დარჩა და ამას ყურადღება არავინ არ მიაქცია და ნაწილი უფ-პოლიტ შემადგენლობისა უბინაოთ ვართ დარჩენილი.

ქალაქის საკომენდანტო ამაზე თავს არ იწუხებს და ჩვენ ისევ უბინაოთ ვართ. თავიდან რომ მოგვიცილოს კამენდატურა დაგვპირდა ოთახის მოცემას, გვარონიებს, საკომენდანტოში ისიც მერე როგორი სიშორიდან, როცა მოგბეზრდება იძულებული ხარ თავი მიანებო.

ამას წინეთ სათანადო მიმართვით მივედი საკომენდანტოში ოთახისათვის და ჩამწერეს პირველ რიგში № 6-ზე, რადგან მე სრული უბინო ვარ, მაგრამ იმ პირველ რიგს მე-300-ზე რიგი ჯობნებია. მე აგერ ამდენი ხანია ისევ იმ ნომერზე პირველ რიგზე ვარ და სამი წელი რომ გავიდეს მგონი ისევ პირველ რიგში ვიქნები და ოთახის მიღებას ვერ მოვესწრები, ქემაინც რაღას გვატყუებენ და ამდენს გვარონიებენ.

თუ პირველი რიგი ქვია, ის მართლა პირველი უნდა იყოს.

ამიტომ ვსთხოვ ქალ. კომენდანტს მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და აღმოგვიჩინოს დახმარება ბინის შოვნაში.

სამხკორი: ს. იმნაიშვილი.

## მოგვეცით კინო.

### მეხუთე ლეგიონი.

მეხუთე ლეგიონის პირველი ათასეულის წითელ-არმიელებს კვირაში ერთი დღე—ორშაბათი დათმობილი გვქონდა ახალგაზრდათა კომკავშირელების კლუბი—კინო სურათების სანახავად.

კვირაში ერთი დღე ვერ აკმაყოფილებდა ნაწილს და მოვითხოვდით დაეთმოთ ათასეულისათვის მეორე დღეც. მოხდა პირიქით.

ორი დღის მაგიერ-ერთი დღეც მოგვისპეს და აგერ თვე ნახევარი იქნება რაც კინოში აღარ ვყოფილვართ.

რად მოგვისპო კომკავშირის კლუბის გამგეობამ კვირაში ერთი დღის დასწრების საშვალება?

კარგი იქნება იმდღით მაინც გვასარგებლებდენ, რომელიც დათმობილი ჰქონდათ ჩვენთვის.

მოგვეცით კინო.

სამხკორი მ—სკი.

## მეორე ქ. მ. ლეგიონის მესამე კომუჯრედის ცხოვრებიდან.

16 აპრილს მოწვეულ იქნა მესამე კომუჯრედის ღია კრება. კრებას დაესწრენ მესამე ასეულის ყველა წითელ-არმიელები.

ლენის მუშების დახვრეტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მარკოზიამ, რომელმაც გასაგები ენით აღნიშნა 1912 წელში 17 აპრილს ლენაში მომხდარი ამბები და მთავრობის მოქმედება გაფიცულ მუშების მიმართ.

მოხსენების ირგვლივ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, სადაც კრება ზიზღით იხსენიებს მეფის ჯალათების უმსგავსო მოქმედებას 1912 წლის 17 აპრილს.

უჯრედის დღიურ წესრიგში იყო მეორე საკითხათ ბრძოლა ცუდი ზნე-ჩვეულების წინააღმდეგ.

ამხ. გუჯაბიძის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წითელ არმიელებში ადგილი ჰქონია ურთი-ერთ გინებას უშვერი სიტყვებით, რაც დიდ უარყოფით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. ამხ. გუჯაბიძემ მოუწოდა დამსწრეთ გადააგდონ ეს ცუდი ჩვეულება და გამოუცხადონ მას სასტიკი ბრძოლა ურთი-ერთ შორის.

არჩეულ იქნა კომისია სამი კაცისაგან შემდგარი, რომელსაც დაევალა ამ მოვლენას მიაქციოს დიდი ყურადღება და აწარმოოს ბრძოლა მის წინააღმდეგ.

სამხკორი ე. გურბენიძე.

## ახკომკავშირელთა შორის. კიდევ მეტი ასეთი საქმიანი კრებები.

### 1-ლ ქ. მ. ლეგიონი.

ა. წ. 15 აპრილს მოწვეულ იქნა ბიურო კოლექტივის სხდომა, რომლის დღის წესრიგში გასარჩევად იდგა საკითხი ლ. ა. კ. კ. მუშაობის შესახებ, რაზედაც მოხსენება გააკეთა ლეგიონის ა. კ. კ. ორგანიზატორმა ამხ. გ. ხომერიკმა.

ამხ. ხომერიკის მოხსენებიდან ნათლად გამოირკვა, რომ კომკავშირს თავისი მიღწევებთან ერთად ქონია ბევრი დეფექტებიც. მომხსენებელი პირდაპირ მიუთითებდა დეფექტებზე და შემოქონდა პრაქტიკული წინადადებები. დეფექტები ყოფილა შემდეგი:

უმთავრესად კომკავშირის მუშაობას აბრკოლებს სათანადო ინსტრუქციების უქონლობა.

გარდა 9 იანვრის უჯრედისა კავშირი სხვა უჯრედებთან არ ყოფილა მოგვარებული. თვით ლეგიონში პარტ-უჯრედების მხრივ ხელმძღვანელობა, ზოგიერთ კომუჯრედების გამოკლებით, ყოფილა სუსტი, რამაც თავისებური კვალი დააჩნია კ. კ. მუშაობას, არ ქონია ერთიანი კავშირის დღე, რის გამო მოულოდნელი კრებები მიზანს ვერ აღწევენ და სხ.

კომკავშირს განსაკუთრებული მეცადინეობა ახალგაზრდობის მოძრაობაზე ვერ მოუწყვია, რადგან მას ხელს უშლის სხვა და სხვა წრეები და პროგრამის უქონლობა.

უმჯობესი იქნებოდა, რომ ლეგიონის საერთო პარტ-განათლების პროგრამაში შეტანილიყო საუბრები კომკავშირის ისტორიიდან და ერთად წარმოებულიყო მეცადინეობა.

კომკავშირის ორგანიზატორები დატვირთული ყოფილან სხვა და სხვა მუშაობით, რამაც შეასუსტა კ. კ. მუშაობა.

პარტიის წევრები—კომკავშირელები არ მუშაობენ კომკავშირში ისე, როგორც შეეფერება აქტიურ წევრებს, იჩენენ გულგრილობას კომკავშირის მუშაობისადმი და სხ.

მესამე რაიკომში გაკეთებულა მოხსენებები ახ. კ. კ. მუშაობის შესახებ ნაწილებში.

ლეგიონში ძლიერ ცოტა მოიპოება წიგნები და სახელმძღვანელოები ახალგაზრდობის მოძრაობაზე. რასაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

მრავალი დეფექტებისა და ნაკლის აღნიშვნის შემდეგ გაიმართა კამათი კომკავშირის მუშაობის ირგვლივ, რის შემდეგ ბიურო კოლექტივის მდივანმა ამხ. კვირაიამ შემოიტანა შემდეგი პრაქტიკული წინადადებები.

1. პარტიაში მომუშავე ა. კ. კ. ძველ წევრებს, კომკავშირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, მიეცეს დირექტივები უჯრედის მდივნებს და თვითეული შემთხვევა კომკავშირიდან ჩამოშორებისა მომავალში იქნეს გარჩეული, როგორც კომკავშირის დისციპლინის დარღვევა.

კომკავშირის ორგანიზატორებმა უჯრედთან ერთად თვალყური ადევნონ ამ მუშაობას და დავალებები მისცენ ზემო აღნიშნულ ამხანაგებს.

2. განმტკიცებული იქნეს ლეგიონის და ტყავ ტრესტის კომკავშირელების კავშირი მესამე რაიკომის საშუალებით.

3. დაინიშნოს ერთიანი კომკავშირის დღე თვეში ორჯერ; ერთჯერ ჯგუფების კრებები ცალ-ცალკე და მეორეჯერ კი ლეგიონის მასშტაბით.

4. დაევალოს ა. კ. კ. ორგანიზატორს მოიწვიოს თვეში ერთხელ მაინც კომკავშირის ჯგუფების ორგანიზატორების თათბირი და მისცეს მათ დირექტივები და გეზი მუშაობის საწარმოებლად.

5. ბიურო კოლექტივის სხდომაზე მოწვეულ იქნას კომკავშირის ორგანიზატორი და ბიუროს დღის წესრიგში შეტანილ იქნას კომკავშირის მუშაობის საკითხები.

6. კომკავშირის მუშაობა ლეგიონში გაშუქდეს, გაზ. „წითელ არმიელში“ „სპარტაკში“ და ლეგიონის კედლის გაზეთებშიც. უკანასკნელში გამოიყოს განსაკუთრებული განყოფილება. გაზეთების თანამშრომლობის საქმეს ხელმძღვანელობა გაუწიოს ლეგიონის სამხკორთა წრის ხელმძღვანელმა და კ. კ. ორგანიზატორმა, რისთვისაც ახკორები მიზიდულ იქნას სამხკორთა წრის მეცადინეობაში.

7. მიეცეს სათანადო დირექტივები უჯრედებს, რომ ხელმძღვანელობა გაუწიონ კომკავშირის ჯგუფებს ასეულებში.

8. ვინაიდან კომკავშირის ორგანიზატორები უმეტეს შემთხვევაში დატვირთული არიან სხვა და სხვა დავალებებით, რაც არ აძლევს მათ საშუალებას საჭირო ყურადღება მიაქციონ კომკავშირის მუშაობას, ამიტომ ბიურო კოლექტივმა იზრუნოს მათ განტვირთვაზე.

9. დამყარებულ იქნას მტკიცე კავშირი საშეფო სოფ. დიღომის კომკავშირელებთან, რისთვისაც ინიციატორობა დაევალოს კომკავშირელებს.

ჩამოთვლილ მითითებათა გატარება ცხოვრებაში წინ წაწევს ლეგიონში კომკავშირელთა მუშაობას.

სამხკორი ს. იმნაიშვილი.

# წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უცოდინარ წითელ არმიელთა შორის.

მე-2-ე ლეგიონში ირიცხებოდა 505 წერა-კითხვის უცოდინარი წითელ-არმიელი.

მათ მასწავლებლათ იყვნენ და არიან საშუალო სასწავლებელ დამთავრებული წითელ-არმიელები.

მასწავლებლების და უცოდინარ წითელ-არმიელების დაუღალავმა მუშაობამ კარგი შედეგი მოგვცა.

სპეციალურმა კომისიამ ჩაატარა გამოცდები წერა-კითხვის უცოდ. წითელ-არმიელებში ა. წ. მარტის თვის უკანასკნელ რიცხვებში და აღმოჩნდა, რომ წერა-კითხვა და ანგარიში კარგათ შეუსწავლიათ 336 კაცს, 505 კაციდან.

მიუხედავათ იმისა, რომ უცოდ. წითელ-არმიელთა 80 პროც. არიან გლეხების შვილები, რომელთაც ანბანიც არ უნახავთ და ადზრდილან მწყემსობაში სამი თვის განმავლობაში, დღეში ხან ერთი, ხან ორი საათის მეცადინეობით, სძლიეს მაინც სიბნელე და გაუთანასწორდენ წერა-კითხვის მცოდნე წითელ-არმიელებს.

დაუღალავი მეცადინეობით 336 კაცმა, ულარიბეს გლეხების შვილებმა შეიძინეს იმდენი ცოდნა სამი თვის განმავლობაში, რასაც სამოქალაქო სკოლებში ერთ წელს გადიან.

დარჩენილ 169 უცოდინარ წითელ-არმიელებთან გრძელდება მეცადინეობა დაკვრითი წესით.

სამხკორი გან—ული.

# ცვალებად შემადგენლობის კონფერენცია.

ქალაქ №-ში მე-4-ე ქართულ მს. ლეგიონის კლუბში მოწვეულ იქნა ცვალებად შემადგენლობის დელეგატთა კონფერენცია. არჩეულ იქნა კონფერენციის პრეზიდიუმი და სამდივნო. საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ: ამხ. ამხ. კორკი, რიკოვი, კალინინი და სტალინი.

კონფერენციას მიესალმენ ლეგთავი ამხ. ზალინაშვილი, ამხ. გოგორიშვილი, კაკაბაძე და სხვა, რის შემდეგ კონფერენციამ საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა პოლონეთის მთავრობას ამხ. ვეჩერკოვიჩის და ბაგინსკის ვერაგულათ მოკვლის გამო.

საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. გოგორიშვილმა, რომელმაც დეტალურათ გააცნო კონფერენციას საბჭოთა რესპუბლიკების საშინაო და საგარეო მდგომარეობა და სხვა.

მეორე საკითხზე—ტერ—ნაწილების მნიშვნელობაზე ილაპარაკა ლეგთავმა ამხ. ზალინაშვილმა, რომელმაც დამსწრეთ გასაგები ენით გააცნო ტერნაწილების დანიშნულება და მისი ამოცანები.

მოხსენებების ირგვლივ იყო შეკითხვები, რაზედაც მომხსენებლებმა სათანადო პასუხი გასცეს. ამის შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუციები და მისალმების დეპეშა მეორე დივიზიისადმი, სადაც კონფერენცია მხედრულ ფიცს სდებს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავათ.

მესამე და მეოთხე საკითხებათ დასმული იყო ტერკორებისა და რწმუნებულების არჩევა. თითეულ თემიდან არჩეულ იქნა ორი ამხანაგი: ერთი ტერკორათ და მეორე კი რწმუნებულათ. რწმუნებულებს გააცნეს თავიანთი მოვალეობანი, თუ როგორი კავშირი უნდა დაიკავოს ცვალებად შემადგენლობამ მე-4-ე ლეგ. ნაწილებთან და წითელ-არმიელებთან.

სამხკორი: მ. ქოჩიაშვილი.

# მე-5-ე ლეგიონის მესამე ათასეულის მუშაობა სოფლათ.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას ქალაქ №-დან ჩვენს სოფელს ესტუმრენ მესამე ათასეულის წითელ-არმიელები, თავიანთი უფ-პოლიტ-შემადგენლობით, რომლებსაც თან მოყვათ სადილის დასამზადებელი ფურგუნი. ფურგუნზე ეწყო იგრეთვე ყოველგვარი ხელსაწყო და სამუშაო იარაღები,

დილის 7 საათზე დაიწყო გაცხარებული მუშაობა. ნაწილი წითელ-არმიელებისა ხნავს მიწას და სთესავს სიმინდს, ნაწილი წნავს ღობეს, ზოგი სხეპავს ხეებს, დანარჩენი ასუფთავებს თხრილებს და სხვა, რითაც დიდათ დაეხმარენ ულარიბეს გლეხებს.

მუშაობის დაწყებისას და მის დასრულების შემდეგ გადაღებულ იქნა სურათები.

უკვე ბინდდებოდა. წითელ-არმიელები მოემზადენ ყაზარმებში წასასვლელათ.

სათანადოთ მოწყობის შემდეგ, გამოემშვიდობენ ადგ. მცხოვრებლებს და სიმღერით გაემართენ ყაზარმისაკენ.

დიდ მადლობას ვუცხადებთ მესამე ათასეულის მთელ შემადგენლობას, რომლებმაც თავიანთი მუშაობით მეც მომიმზადეს მთელი წლის სარჩო, რითაც ულარიბესი გლეხი გადამარჩინეს სიმშილისაგან სიკვდილს.

გაუმარჯოს წითელ არმიას და მის ხელმძღვანელებს, რომლებიც მტკიცეთ იცავენ მუშების და გლეხების ინტერესებს.

მწევამდელი ე. მ. ტულუში.

# ამბები სოფლებიდან.

**კოოპერაციის გასაძლიერებლათ.**

სოფ. ქარელის სათემო გლეხკომმა ჩასწერა ადგილობრივ კოოპერატივში წევრებათ თავის ხარჯზე 50 ულარიბესი გლეხი.

**საფერშლო პუნქტები.**

ზუგდიდის აღმასკომმა ნება დართო გლეხებს სოფლებში თავიანთ ხარჯზე გახსნან საფერშლო პუნქტები.

**გლეხკომის ქონება.**

გორის სამაზრო გლეხკომის განკარგულებაში ამჟამად არის 1 სამკელი მანქანა, 15 გუთანი, 2 სიმინდის საცეხვი მანქანა და 55 ძირი ფუტკარი.

**ხილეულის დამზადება.**

სოფ. რუისის გლეხკომმა გადასცა გორის მთლიან კოოპერატივს გასასაღებლათ 1200 ფუთი ხორბალი და 1.500 ფუთი საზამთრო ხილეული.

**ქონების აღსარიცხავათ.**

შორაპნის სამაზრო გლეხკომმა დაავალა ყველა სათემო გლეხკომებს შემოიღონ წიგნაკები და აწარმოონ საკუთარი ფონდების ანგარიშები.

**ხარაგოულის გლეხკომის წარმოება.**

სოფ. ხარაგოულის (შორაპნის მაზრა) გლეხკომს აქვს ერთი სამინდე წისქვილი, საიდანაც ყოველთვიურად შემოსდის სამოცი ფუთი ქვილი.

**განათლების ფრონტზე.**

გორის სამაზრო გლეხკომი ინახავს თავის ხარჯზე 7 სკოლას და 1 კლუბს, სადაც დრო-გამოშვებით იმართება ლექციები და წარმოდგენები.

# ახალი ამბები.

— **„ტყის დღე“.** ტყეების დაცვის მიზნით, მიწად-მოქმედების კომისარიატმა გადასწყვიტა გამოსცეს წიგნი „ტყის დღე“.

— **ბამბის დამზადება.** გასული წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში დამზადებულ იქნა 4 მილიონი ფუთი ნედლი ბამბა.

— **ტრამვაის მუშაობა.** ა. წ. იანვრიდან აპრილამდე ტფილისის ტრამვაის გადაუყვანია 7.185.388 მგზავრი.

— **საბინაო ამხანაგობები.** ტფილისის აღმასკომში აღრიცხვაზე წარდგენილი არის 50 საბინაო—საიჯარო ამხანაგობა.

— **ქუჩების შეკეთება.** გასულ წელს ტფილისის გარეუბნებში შეკეთებულ და მოკირწყლულ იქნა 15.883 კვადრატ. საჟენის სივრცეზე.

— **საქართველოს მეფუტკრეებს.** ამ. კავკ. სასოფლო სამეურნეო ბანკმა მისცა სესხათ 48 ათასი მანეთი.

—**კურსების მოწყობა.** შრომ. სახ. კომისარიატმა დაადგინა, შრომის ინსპექტორების მოსამზადებლათ დრო გამოშვებით მოაწყოს მოკლე ვადიანი კურსები.

—**სახელმძღვანელოების გამოცემა.** განათლების კომისარიატმა დაადგინა აგვისტომდე გამოსცეს სკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოები.

—**ტფილისის სასაკლაოზე.** იანვრიდან აპრილამდე მორეკილ იქნა დასაკლავათ 26.452 მსხვილ და წვრილ ფეხა საქონელი.

# პასუხად ამხ. ს. ძიროვნელს.

გაზ. „წითელ არმიელის“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო ამხ. ს. ძიროვნელის წერილი, რომელშიდაც ის უსაყვედურებდა არტლეგიონის სამნეო დამხმარე კომისიას, თითქოს ის თვალყურს არ ადევნებდეს სამზარეულოში სადილების დამზადებას. იქვე მეპარება, რომ წერილის ავტორი თვითონ დადიოდეს სამზარეულოში სადილების მისაღებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში პატარეის სამზარეულოში ყოველთვის დაგვინახავდა, რომ ვათვალიერებთ სადილებს.

რატომ ის მაინც არ ახსოვს ამხ. ძიროვნელს, ამ რამოდენიმე დღის წინად მის მიერ ათვალისწინებულმა კომისიამ დაიწუნა ხორცი, კარტოფილი, ხახვი, კომბოსტო და სხვა?

კომისია თავის ადგილზეა, მაგრამ ამხ. ძიროვნელი როგორც სჩანს თითონ არ დაიარება სასადილოში ხვედრი ულუფის მისაღებათ.

მეორე: ძიროვნელი გვისაყვედურებს სადილის დარიგების დროს წესრიგი არ არის დაცული. აქ კი ამხანაგი ურევს სხვის მოვალეობას კომისიის ფუნქციებში.

წესრიგის დასაცავად სამზარეულოში არიან ბატარეის მორიგეები და შემდეგ თვით სამზარეულოს მორიგე. ის კომისიას სრულიად არ ეხება.

კარგი იქნება ამხ. ძიროვნელი შემდეგში მაინც კარგად გაერკვეოდეს იმაში რაზედაც სურს წერა და შეცდომაში არავის შეიყვანდეს.

ის. ჭაია.

# აბა გამოიცანი?

**ამოცანა № 11.**

ერთი კაცი შევიდა მესაათესთან და იყიდა საათი 25 მანეთად. მესაათეს მისცა 10 ჩერვონეციანი. რადგანაც საათის პატრონს არ აღმოაჩნდა ათ ჩერვონეციანი დახურდავა მეზობელთან და ამნაირად საათის მყიდველს დაუბრუნა ხურდა 57 მანეთი.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მესაათესთან მივიდა ის მეზობელი, რომელთანაც მან დახურდავა საათის მყიდველისაგან მიცემული 10 ჩერვონეციანი და უთხრა, რომ ის ფული ყალბი აღმოჩენილა; მაშინ მესაათემ მეზობელს მისცა ნამდვილი 10 ჩერვონეციანი.

რამდენი მანეთი დაკარგა ამ კომბინაციით მესაათემ?

# ამოცანა № 8 გამოყვანა.

ეს ამოცანა გამოიყვანა სამხკორმა ბოკუჩავამ შემდეგნაირად.

ოთხკუთხედის რიგებში რიცხვებია მოთავსებული.

| | | |
|---|---|---|
| 8 | 1 | 6 |
| 3 | 5 | 7 |
| 4 | 9 | 2 |

# სამხედრო ტრიბუნალი.

23 აპრილს ქართულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. გაბუნიას თავმჯდომარეობით განიხილა ქართულ მსროლელ დივიზიის სურსათ სანოვაგის საწყობის ყოფილ მეკუჭნავის გიორგი კონსტანტინესძე კახიანის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა სახაზინო ქონების მითვისება-გაფლანგვა, ბრძანების შეუსრულებლობა და სამსახურისადმი დაუდევრობა. სასამართლოს ძიებით გამოირკვა შემდეგი: ბრალდებული კახიანი 1923 წლ. 1 ლ იანვრიდან ირიცხებოდა დივიზიის შტაბის სურსათ სანოვაგის საწყობის მეკუჭნავეთ ი. წ. 9 მარტამდე. ამ ხნის განმავლობაში სისტემატიურად მიითვისა და გაფლანგა მასზე ჩაბარებული სახაზინო სურსათ-სანოვაგე ღირებული 785 მანეთად.

1923 წლის მარტის 1-ლ რიცხვებში ქონდა რა ნაბრძანება უფროსებისაგან მოემზადებია და მოეგვარებია მთელი საკუჭნაოს საქმიანობა ჩასაბარებლად ახალ მეკუჭნავისათვის, ეს ბრძანება არ შეასრულა მით, რომ დანიშნულ დღეს საკუჭნაო დაკეტა და მიიმალა, იმავე დროს და იქვე ითვლებოდა რა ზემოაღნიშნულ მეკუჭნავის თანამდებობაზე, დაუდევრათ და უყურადღებოთ ასრულებდა მასზე დაკისრებულ თანამდებობითი მოვალეობას, რის გამო საკუჭნაო მოკლებული იყო სისუფთავეს, წესრიგის დაცვას, სურსათი ქონდა არეულ-დარეული, ზეპირად ურიგებდა მოსამსახურეებს სურსათს და ოვიურ ბარათებში არ ნიშნავდა გაცემულ სურსათის რაოდენობას და საკუჭნაოს შემოსავალ-გასავალ წიგნებს აწარმოებდა უწესრიგოთ. წაყენებული ბრალდებები ტრიბუნალმა სცნო დამტკიცებულათ და მიუსაჯა მას სასჯელთა შეერთების სახით თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით (4) ოთხი წლის ვადით სამოქალაქო უფლებების შეუზღუდველათ. თანახმად სრ. საქართველოს ცაკის ა. წ. 16 მარტიდან № 13 ამნისტიის სასჯელი თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდა ნახევრადგნია.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე

# განცხადებები

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

**მე-3-მე სამთო ბატარეის კომუჯრედში** შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატად მიღებაზე შემდეგ ამხანაგებს:

1. ამხ. დავით ზაქარიას-ძეს კავთუაშვილს. 2. ამხ. ჩხიკვაძე კონსტანტინე მელიტონის-ძეს. თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მათი პარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით.

**1-ლ ქ. მ. დ. საარტილერიო ლეგიონის მე 3-მე ბატარეის კომუჯრედის მდივანს.**

მე-6 სე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ წითელ არმიელებს:

1. ცომაია გაიოზ კირილესძე—სენაკის მაზრა. 2. მიქაბერიძე პლატონ გიორგისძე—შორაპნის მაზრა 3. ყურუა გრიგორი გიორგისძე—სენაკის მაზრა: ზემო აღნიშნულ პირების საწინააღმდეგოთ თუ ვინმემ რაიმე იცის, გთხოვთ გვაცნობოთ ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა გაზეთ „წითელ არმიელში“ წერილობით.

მეექვსე ლეგ. მეექვსე ასეულის კომუჯრედის მდივანი

ფეხმაშვილი.

.ნ .დ ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.